



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

თავფურცელი

- თავი I - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; .....
  - თავი II - სწავლის შედეგების რუქა; .....
  - თავი III - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა; .....
  - თავი IV - ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის .....  
განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და სასწავლო რესურსის  
შესახებ;
  - თავი V - ჩვენი გამოცდილება .....
  - თავი VI - სწავლის შედეგები – მისაღწევი შედეგები შესაბამისი კომპონენტების მიხედვით; ....
  - თავი VII - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება; .....
  - თავი VIII - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების წესი (დანართი №1) ; ..
  - თავი IX - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი; .....
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის 3 (სამი) დანართი 6 (ექვს) ფურცლად.



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

თავი I პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

|   |   |  |
|---|---|--|
| 1 | <p>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; საკონტაქტო ინფორმაცია</p> | <p>მასაჟისტი<br/>მისამართი: გურამიშვილის გამზირი 72;<br/>ვებ. გვერდი: www.manandnature.ge<br/>ტელეფონი: 995 322 261 01 89</p>  |
| 2 | <p>საფეხური და სწავლების ენა</p>                                  | <p>მესამე საფეხური; ქართული</p>  |
| 3 | <p>დაშვების წინაპირობა</p>  | <p>დაწესებულებაში ჩაირიცხება პირი, რომელსაც დამლეული აქვს ზოგადი განათლების საფეხური, მინიმალური ასაკია 18 წელი და გაივლის გასაუბრებას. ზოგადი განათლების დამლევის დამადასტურებელი დოკუმენტის, გასაუბრების წარმატებით გავლისა და დაწესებულების დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შედეგად პირი მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს.</p>  |
| 4 | <p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>                                  | <p>მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია</p>   |
| 5 | <p>პროფესიული სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში/ECTS</p>             | <p>1 კრედიტი 25 საათია. მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს - 1500 სთ. კრედიტები განაწილებულია შემდეგნაირად: 36 კრედიტი (900 სთ)- თეორიის კომპონენტი და 24 კრედიტი (600 სთ) პრაქტიკის კომპონენტი.</p>   |
| 6 | <p>შინაარსი</p>   | <p>მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო კურსების ერთობლიობას, რომელიც აუცილებელია მასაჟისტის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად. საგანმანათლებლო პროგრამა შედგება 14 სასწავლო კურსისგან, რომელიც გრძელდება 40 სასწავლო კვირა. ის მოიცავს თეორიულ სწავლებასთან ერთად, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას, რომელიც უზრუნველყოფილია „თერაპიის სახლი“-ს ამბულატორიასა და შინმოვლის განყოფილებაში, თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის სამასაჟე კაბინეტში, ბაკურ კოტეტიშვილის ფსიქო-ნევროლოგიურ კლინიკაში,</p> |



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

|   |        |   |
|---|--------|---|
|   |        | <p>სამკურნალო სადიაგნოსტიკო რეაბილიტაციის ცენტრში - „მედიგარდი“. პროგრამა ითვალისწინებს შინ მოვლის კომპონენტსაც, რაც პროფესიულ სტუდენტს უვითარებს არამარტო სტაციონარსა თუ ამბულატორიაში მუშაობის უნარებს, არამედ აძლევს სხვადასხვა სიტუაციებში დამოუკიდებელი მუშაობის პრაქტიკულ ცოდნასაც. ყოველივე ეს ხელს შეუწობს მესამე საფეხურის მასაჟისტ სწავლის პროცესში ჩამოიყალიბოს გარკვეული დამოუკიდებლობით მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები. ჩვენი აზრით, ამ სასწავლო პროგრამის გავლის შემდეგ ჯანდაცვის სისტემა და სოციალური სფერო შეივსება მნიშვნელოვანი რგოლით, რომელიც ავადმყოფის კვალიფიციურ მოვლასა და რეაბილიტაციაზეა ორიენტირებული. პროგრამით გათვალისწინებულ საწარმოო პრაქტიკას პროფესიული სტუდენტები გაივლიან ისეთ სამედიცინო-პედაგოგიურ ორგანიზაციებში, სადაც მათ მუშაობა მოუწევთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან.</p>   |
| 7 | მიზანი | <p>მესამე საფეხურის სასწავლო პროგრამის მიზანია აღზარდოს პროფესიონალი მასაჟისტები, რომელთაც სასწავლო გეგმით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული კურსების გავლის შემდეგ ექნებათ პროფესიასთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების, პროცესების და ზოგადი კონცეფციების ცოდნა და ამ ცოდნის გარკვეული დამოუკიდებლობით პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარი; სამუშაოს დაგეგმვა აუცილებელი ნაბიჯების გაცნობიერებით; პრაქტიკული უნარ-ჩვევების ფართო სპექტრის, მეთოდის, ინსტრუმენტებისა და მასალის სწორი შერჩევა-მისადაგება; განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა. ასევე ადექვატური საინფორმაციო წყაროების კვალიფიციური გამოყენებისა და დროული კომუნიკაციის უნარი, როგორც კოლეგებთან ასევე სხვა პროფესიონალებთან; უცხო ენაზე მარტივი კომუნიკაცია და შესაბამისი წყაროების ეფექტურად გამოყენების უნარი; შეძლოს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე. საკუთარ განათლებაზე პასუხისმგებლობის აღება პროფესიული წინსვლის მიზნით; ადამიანის ჯანმრთელობასთან და სიცოცხლესთან, ასევე ეთიკურ საკითხებთან დაკავშირებულ ღირებულებათა მწყობრი სისტემის</p> |



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

|   |   |  |
|---|---|--|
|   |   | <p>შექმნა. ექიმი-რეაბილიტოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ შეძლოს მუშაობა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში (სტაციონარში, ამბულატორიაში, შინმოვლის სამსახურში, ისეთ დაწესებულებებში, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებზე ზრუნავენ), სპორტულ-გამაჯანსაღებელ და ჰიგიენურ-კოსმეტიკური პროფილის დაწესებულებებში; პროგრამის მიზანია მესამე საფეხურის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევა.</p> <p>პროფესიულ პროგრამაში მითითებულ სასწავლო კურსებში განსაზღვრულია უფრო კონკრეტული მიზნები, რომლებიც ემსახურება პროფესიონალი კადრის აღზრდას.</p>  |
| 8 | <p><b>პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა(დატვირთვა); სწავლების მეთოდები</b></p> | <p>პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ლექციაზე დასწრება;</li> <li>➤ სამუშაო ჯგუფში მუშაობა;</li> <li>➤ პრაქტიკა (სასწავლო და საწარმოო);</li> <li>➤ დამოუკიდებელი მეცადინეობა;</li> <li>➤ გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარება.</li> </ul> <p>სწავლების მეთოდი ითვალისწინებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ლექცია – შესაბამისი მასალის ახსნას, თეორიულ სწავლებას ლიტერატურისა და სალექციო კურსებით და საპრეზენტაციო საშუალებების გამოყენებით;</li> <li>➤ სამუშაო ჯგუფში მუშაობა – ახსნილი მასალის ირგვლივ კითხვა-პასუხი, დისკუსია, შემთხვევა-მაგალითების განხილვა, დემონსტრაცია; 3-კაციან ჯგუფებში მუშაობა სამასაჟე საწოლთან სადემონსტრაციო ოთახში მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ და დამოუკიდებლად;</li> <li>➤ პრაქტიკა – თეორიული ცოდნის საფუძველზე პრაქტიკული დავალებების შესრულება სიმულირებულ (სასწავლო) და რეალურ (საწარმოო) გარემოში;</li> <li>➤ დამოუკიდებელი სამუშაო – ახსნილი მასალის, მითითებული სასწავლო მასალიდან, თეორიული ცოდნის გამყარება; გავლილ მასალაზე პრეზენტაციის მომზადება, დამოუკიდებელი საკურსო ნაშრომის მომზადება-წარდგენა, შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდისათვის მომზადება.</li> </ul> |
| 9 | <p><b>პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება</b></p>                                    | <p>სასწავლო კურსის/ პრაქტიკის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.</p> <p>შეფასება დაყოფილია ორ ნაწილად: შუალედური</p>  |



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

|  |  |
|--|--|
| <p>სასწავლო კურსზე/ პრაქტიკაზე მიღებული უარყოფითი შეფასების შედეგები</p> | <p>შეფასება და დასკვნითი გამოცდა. (იხ. სილაბუსებში) შეფასების მეთოდი:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➢ დავალების შესრულების ხარისხი ( წერილობითი ან/და ზეპირი);</li> <li>➢ აქტივობა, ჯგუფში ჩართულობა;</li> <li>➢ შესრულებული პრაქტიკული დავალების შეფასება;</li> <li>➢ ტესტი ან/და სხვა სახის წერილობითი დავალების შეფასება;</li> <li>➢ შესრულებული პრეზენტაციის შეფასება;</li> </ul> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;</p> <p>(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;</p> <p>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;</p> <p>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;</p> <p>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;</p> <p>ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.</p> <p>(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.</p> <p>პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, დასკვნითი გამოცდის ჩატარებიდან არანაკლებ 10 დღეში.</p> <p>თუ დამატებით გამოცდაზე პროფესიულმა სტუდენტმა ვერ გადალახა ბარიერი და მიიღო უარყოფითი შეფასება მას:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) ან შეუჩერდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი მომავალი ახალი ჯგუფის დაკომპლექტებამდე;</li> <li>ბ) ან ინდივიდუალურად გაივლის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რისთვისაც დაეკისრება დამატებით ფინანსური ვალდებულება;</li> <li>გ) ან ისარგებლებს მობილობის უფლებით.</li> </ul> <p>პროფესიული სტუდენტი თავად იღებს გადაწყვეტილებას ზემოთ ჩამოთვლილი სამი პირობიდან ერთ-ერთზე.</p> |
|--|--|



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

|    |                            |  |
|----|----------------------------|--|
| 10 | დასაქმების სფერო           | <p>მასაჟისტი შეიძლება დასაქმდეს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში: საავადმყოფოებში, პოლიკლინიკებში, დისპანსერებში, სანატორიუმებში, სპორტულ გუნდებში, ბალეტისა და ცეკვის ანსამბლებში, ჰიგიენური პროფილის სალონებში, სამედიცინო-რეაბილიტაციის ცენტრებში, სკოლებში, საბავშვო ბაღებში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სახლებში, პანსიონებში.</p> <p>პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებულთათვის ერთ-ერთ დამსაქმებელს წარმოადგენს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ შპს „თერაპიის სახლი“;</li> <li>ა (ა) ი პ „ადამიანი და ბუნება“ -ს პარტნიორი ორგანიზაციები:</li> <li>➤ კავშირი „ონკოპრევენციის ცენტრი“ -ს პალიატიური მზრუნველობის კლინიკა;</li> <li>➤ ფონდი „თაობა“,</li> <li>➤ მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო;</li> <li>➤ ა (ა) ი პ „კოალიცია შინმოვლა საქართველოში“;</li> <li>➤ საზოგადოებრივი მხარდაჭერისა და ეროვნული თვითგანათლების ქართული კავშირი (ასოციაცია) „გენეზისი“;</li> <li>➤ წმ. მიქაელის სახელობის თავისუფალი პედაგოგიური ცენტრი.</li> </ul> |
| 11 | თანამშრომლობის მემორანდუმი | <ul style="list-style-type: none"> <li>➤ შპს „თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი“;</li> <li>➤ შპს - „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი“;</li> <li>➤ შპს - „მე-3 სამედიცინო პროფესიული ცენტრი“;</li> <li>➤ ა(ა)იპ „ფერიცვალების დედათა მონასტერთან არსებული“ მოწყალების ცენტრის პროფესიული კოლეჯი;</li> <li>➤ ა(ა)იპ - „კოალიცია შინმოვლა საქართველოში“;</li> <li>➤ ა(ა)იპ - „კავშირი „ონკოპრევენციის ცენტრი“ - ს პალიატიური მზრუნველობის კლინიკა;</li> <li>➤ ა(ა)იპ - „ფონდი თაობა“;</li> <li>➤ „მ.იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო“;</li> <li>➤ ა (ა) იპ - „საქართველოს ექთნების ასოციაცია“;</li> <li>➤ შპს - „თერაპიის სახლი“;</li> <li>➤ აკ. გ.ჩაფიძე სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიური ცენტრი;</li> <li>➤ შპს „ნეიროგანვითარების ცენტრი“</li> </ul>  |



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ზუნება“

|    |          |   |
|----|----------|---|
|    |          | <ul style="list-style-type: none"> <li>➤ სამკურნალო სადიაგნოსტიკო რეაბილიტაციის ცენტრი - „მედიგარდი“;</li> <li>➤ ბაკურ კოტეტიშვილის ფსიქონევროლოგიური კლინიკა;</li> <li>➤ ა (ა) ი პ ”წმ. მიქაელის სახელობის თავისუფალი პედაგოგიური ცენტრი“.</li> </ul>  |
| 12 | მობილობა | <p>პროგრამაზე მობილობით გადმოსვლა შესაძლებელია სასწავლო კურსის ”კომპიუტერული უნარების“ დასრულებისა და სასწავლო კურსის ”ზოგადი სწავლებები“ დაწყებამდე.</p> <p>ჩარიცხვის პროცედურა დასრულდება ჩამოთვლილი სასწავლო კურსების დაწყებამდე 5 სამუშაო დღით ადრე. მობილობის ზუსტი ვადები განთავსდება დაწესებულების ვებ-გვერდზე დირექტორის ბრძანების საფუძველზე. განცხადებაში მითითებული იქნება დოკუმენტაციის მიღების წესი და ვადა. წარმოსადგენი დოკუმენტაციაა:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. განაცხადი (განაცხადის ფორმა განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე);</li> <li>2. პირადობის მოწმობის ასლი;</li> <li>3. ერთი ფოტოსურათი 3x4;</li> <li>4. ჩარიცხვის ბრძანება;</li> <li>5. სასწავლო ბარათი (განვლილი სასწავლო კურსების ჩამონათვალი და მოპოვებული კრედიტების რაოდენობა).</li> </ol> <p>მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის წესს წყვეტს სამეთვალყურეო საბჭო ინდივიდუალურად.</p> <p><u>მობილობით გადამსვლელთა საყურადღებოდ!</u> გადასვლა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, თუმცა რეკომენდირებულია თითოეული სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ.</p> |

თავი II სწავლის შედეგების რუქა

| სასწავლო კურსები        | მიღწეული კომპეტენციები |                                     |                          |                    |               |              |
|-------------------------|------------------------|-------------------------------------|--------------------------|--------------------|---------------|--------------|
|                         | ცოდნა და გაცნობიერება  | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | დასკვნის გაკეთების უნარი | კომუნიკაციის უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები |
| 1. კომპიუტერული უნარები | x                      | x                                   |                          | x                  | x             |              |
| 2. უცხო ენა (ინგლისური) | x                      | x                                   |                          | x                  | x             |              |



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

|                                      |   |   |   |   |   |   |
|--------------------------------------|---|---|---|---|---|---|
| 3. ავადმყოფის მოვლა                  | x | x | x | x |   |   |
| 4. სამედიცინო მასაჟი                 | x | x | x | x | x | x |
| 5. ბიოლოგია, ანატომია, ფიზიოლოგია    | x | x |   |   | x |   |
| 6. ზოგადი სწეულებები                 | x | x | x |   |   |   |
| 7. კერძო სწეულებები                  | x | x | x |   |   |   |
| 8. ჰიგიენა                           | x | x | x |   |   | x |
| 9. ფსიქოლოგია-სოციოლოგიის საფუძვლები | x | x | x | x |   |   |
| 10. ფარმაკოლოგია                     | x | x | x |   |   |   |
| 11. პირველადი გადაუდებელი დახმარება  | x | x | x |   |   |   |
| 12. კინეზოთერაპია                    | x | x | x | x |   |   |
| 13. სასწავლო პრაქტიკა                | x | x | x | x | x | x |
| 14. საწარმოო პრაქტიკა                | x | x | x | x | x | x |





ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

თავი III პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

| კომპონენტების<br>(სასწავლო<br>კურსის/მოდულის) | კრედიტების<br>რაოდენობა | საათების განაწილება |                  |   |                   |                    | დამოუკიდებელი მუშაობის<br>საათები | სულ საათების<br>ოდენობა |
|---|-------------------------|---------------------|------------------|---|-------------------|--------------------|-----------------------------------|-------------------------|
|   |                         | ლექცია              | სამუშაო<br>ჯგუფი | შუალედური და<br>საბოლოო<br>ცოდნის<br>შეფასება | სასწ.<br>პრაქტიკა | საწარ.<br>პრაქტიკა |                                   |                         |
| 1. კომპიუტერული უნარები                       | 1,5                     | 16 სთ               | 8 სთ             | 4 სთ  | -                 | -                  | 9,5 სთ                            | 37,5 სთ                 |
| 2. უცხო ენა (ინგლისური)                       | 4                       | 48 სთ               | 16 სთ            | 8 სთ  | -                 | -                  | 28 სთ                             | 100 სთ                  |
| 3. ბიოლოგია, ანატომია, ფიზიოლოგია             | 5                       | 55 სთ               | 31 სთ            | 4 სთ  | -                 | -                  | 35 სთ                             | 125 სთ                  |
| 4.სამედიცინო მასაჟი                           | 9,5                     | 110 სთ              | 55 სთ            | 14 სთ   |                   |                    | 58,5 სთ                           | 237,5 სთ                |
| 5.ავადმყოფის მოვლა                            | 4                       | 45 სთ               | 18 სთ            | 6 სთ  |                   |                    | 31 სთ                             | 100 სთ                  |
| 6. ზოგადი სნეულებები                          | 1,5                     | 18 სთ               | 9 სთ             | 3 სთ  | -                 | -                  | 7,5სთ                             | 37.5 სთ                 |
| 7. კერძო სნეულებები                           | 3                       | 36 სთ               | 18 სთ            | 4 სთ  | -                 | -                  | 17სთ                              | 75 სთ                   |
| 8. ჰიგიენა                                    | 1,5                     | 15 სთ               | 10 სთ            | 4 სთ  | -                 | -                  | 8,5 სთ                            | 37,5 სთ                 |
| 9. ფსიქოლოგია-სოციოლოგიის საფუძვლები          | 1,5                     | 16 სთ               | 8 სთ             | 4 სთ  | -                 | -                  | 9,5 სთ                            | 37,5 სთ                 |
| 10. ფარმაკოლოგია                              | 1,5                     | 16 სთ               | 8 სთ             | 4 სთ  | -                 | -                  | 9,5 სთ                            | 37,5 სთ                 |
| 11.პირველადი გადაუდებელი დახმარება            | 1                       | 9 სთ                | 6 სთ             | 4 სთ  | -                 | -                  | 6 სთ                              | 25 სთ                   |
| 12. კინეზოთერაპია                             | 2                       | 17 სთ               | 13 სთ            | 4 სთ  | -                 | -                  | 16 სთ                             | 50 სთ                   |
| 13. სასწავლო პრაქტიკა                         | 14,4                    |                     |                  | 20 სთ   | 340 სთ            | -                  |                                   | 360 სთ                  |
| 14 . საწარმოო პრაქტიკა                        | 9,6                     |                     |                  | 15 სთ   | -                 | 225 სთ             |                                   | 240 სთ                  |
| ჯამი  | 60                      | 376 სთ              | 206 სთ           | 96 სთ   | 340 სთ            | 225 სთ             | 257 სთ                            | 1500 სთ                 |



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

თავი IV ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და სასწავლო რესურსის შესახებ

| სახელი, გვარი                                    | სასწავლო კურსი  | კვალიფიკაცია/საკონტაქტო ინფორმაცია  |
|--|---|---|
| გიორგი ხუბულური                                  | კომპიუტერული უნარები  | საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი („PC Führerschein“);<br>ტელ.: 995 591 611162   |
| თამარ მამალაძე                                   | უცხო ენა (ინგლისური)  | ინგლისური ენის პედაგოგი;<br>ტელ.: 995 599 733316  |
| მერი ვაშაკიძე<br>თამარ კანთელაძე                 | ავადმყოფის მოვლა -<br>თეორიული კურსი  | მერი ვაშაკიძე - მედდის საქმე;<br>ტელ: 995 593 632285;<br>თამარ კანთელიძე - მედდის საქმე;<br>ტელ: 995 595 50 52 81   |
| ლია ავალიანი                                     | სამედიცინო მასაჟი -<br>კლასიკური მასაჟი -<br>თეორიული კურსი, სასწავლო<br>და საწარმოო პრაქტიკა | ექიმი-რეაბილიტოლოგი<br>ტელ.: 995 593 168461   |
| ლალი ანდრიაშვილი<br>ლია ბუღაძე<br>თამარ ვაშაკიძე | ანატომია, ფიზიოლოგია;<br>ზოგადი და კერძო<br>სნეულებები  | ლალი ანდრიაშვილი - მედიცინის<br>დოქტორი, ტელ: 995 599949487;<br>ლია ბუღაძე - ექიმი-პედიატრი,<br>ტელ.: 995 599109502;<br>თამარ ვაშაკიძე - ოჯახის ექიმი,<br>ტელ.: 995 599530714 |
| ლალი ზაქარიაძე                                   | ჰიგიენა   | ჰიგიენა, სანიტარია და ეპიდემიოლოგია,<br>ტელ.: 995 571 541172  |
| ანანო გაგუა                                      | ფარმაცოლოგიის საფუძვლები  | ფარმაცევტი, ტელ.: 995 557715183   |
| ბექარ ჯოხაძე<br>ბესიკ ვაშაკიძე                   | კინეზოთერაპია   | ბექარ ჯოხაძე - სამკურნალო<br>ფიზიკულტურა და რეაბილიტაცია<br>ტელ.: 995 571 026847;<br>ბესიკ ვაშაკიძე - ექიმი-რეაბილიტოლოგი,<br>ტელ.: 995 599580405                             |
| ნათია წერეთელი                                   | ფსიქოლოგია-სოციოლოგიის  | ფსიქოლოგი, ტელ: 995 599 906150  |



ს(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

|  |  |  |
|--|--|--|
|  | საფუძვლები   |  |
| ჰაიკე დამსი<br>(შვეიცარია)             | სამედიცინო მასაჟი -რიტმული მასაჟი                        | ხელმძღვანელი განათლების სფეროში, რიტმული მასაჟის ( ვეგმან/ჰაუმკას მიხედვით), პრესელის მასაჟის და სამკურნალო აბაზანების(იუნგეს მიხედვით) სპეციალისტი, ტელ.: +41 62 7710647, E-mail: <a href="mailto:info@heike-dahms.ch">info@heike-dahms.ch</a>                              |
| მარიამ ბუდული                          | პირველადი გადაუდებელი დახმარება                          | გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სპეციალისტი, ტელ.: 995 599 24 12 22  |
| ლალი ზაუტაშვილი                        | სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა - რიტმული მასაჟი, ბიოლოგია | რიტმული მასაჟის სპეციალისტი-ექთანი, ბიოლოგისა და ქიმიის მასწავლებელი, ტელ.: 995 599 202495   |
| თამარ მოსულიშვილი<br><br>უჩა ნებიერიძე | საწარმოო პრაქტიკა - კლასიკური მასაჟი                     | თამარ მოსულიშვილი-სამკურნალო მედიცინისა და რეაბილიტაციის ექიმი-სპეციალისტი, ტელ.: 599556372; უჩა ნებიერიძე - ექიმი-რეაბილიტოლოგი, სამკურნალო სადიაგნოსტიკო რეაბილიტაციის ცენტრის დირექტორი, ტელ.: 577 520001, E-mail: <a href="mailto:ucha13@gmail.com">ucha13@gmail.com</a> |

თავი V ჩვენი გამოცდილება

| თარიღი      | პროგრამის სახელწოდება  | დამფინანსებელი ორგანიზაცია                         |
|-------------|--|--|
| 2013        | <p>ლალი ზაუტაშვილმა მონაწილეობა მიიღო: ფიზიოთერაპევტთა მე-9 საერთაშორისო კონფერენციაში - შვეიცარია (დორნახი). თემა: „სითბო, როგორც თერაპიის არსი;</p> <p>რიტმული მასაჟისტის კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარში - შვეიცარია (მოშბერგი). თემა: „რიტმული მასაჟი ფსიქოსომატიკასა და ფსიქიატრიაში“</p> | შპს „თერაპიის სახლის“ მივლინება                    |
| 2010 – 2011 | საექთნო სახელმძღვანელოს თარგმანი გერმანულიდან ქართულ ენაზე და მისი გამოცემა (სადაც ერთი თავი ეთმობა რიტმულ შეზღვევას ვეგმან/ჰაუმკას მიხედვით)  | ანთროპოსოფიული მოვლის საერთაშორისო ფორუმი          |
| 2009 –      | ტენდერში გამარჯვების შედეგად გადამზადება გაიარა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან 600-ზე მეტმა ოჯახის  | ევროკავშირის გრანტით - შემკვეთი: სსიპ „საქართველოს |



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

|             |   |  |
|-------------|---|--|
| 2010        | ექთანმა სასწავლო კურსით "პაციენტის ბინაზე მოვლის უნარ-ჩვევები ექთნებისათვის", პროექტის "პირველადი ჯან-დაცვის რეფორმის მხარდაჭერის პროექტის" ფარგლებში   | ჯანმრთელო-ბისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი"                            |
| 2009 – 2010 | პროექტი: "შინ მოვლის განვითარება საქართველოში"  | საქველმოქმედო ფონდი "კორდაიდი" (ჰოლანდია);<br><br>საქველმოქმედო ფონდი "დიაკონიშუს ვერქ" (გერმანია) |
| 2006 – 2008 | პროექტი: "შინ მოვლის სამსახურისა და საექთნო სწავლების დივერსიფიცირება", ექთანი-რეაბილიტოლოგის კომპონენტის დამატება შინ -მოვლის სამსახურში (შესაძლებელი გახდა აიპ "ადამიანი და ბუნება"- პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებული ხუთი ექთნის მიერ მოსკოვში რიტმული მასაჯის სრული კურსის გავლის შემდეგ)  | საქველმოქმედო ფონდი "კორდაიდი" (ჰოლანდია)  |
| 2005        | საერთაშორისო კავშირის "ადამიანი და ბუნება" ორგანიზებით ჩატარდა კურსი: "რეაბილიტაციის დამხმარე ღონისძიებები ზურგის ტვინის დაზიანების და ჰემიპლეგიის შემთხვევაში". კურსის დოცენტები იყვნენ ჰერდეკეს საზოგადოებრივი კლინიკის ფიზიოთერაპიული განყოფილების წამყვანი სპეციალისტები: ანეტე გრავე და ბარბარა ულენდინგი. კურსში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლებმა, მათ შორის "თერაპიის სახლის" სარეაბილიტაციო განყ.თანამშრ. და ჩვენი პროფესიული კოლეჯის წამყვანმა ტრენერებმა. | საერთაშორისო კავშირი "ადამიანი და ბუნება" (საქართველო)   |
| 2002 – 2006 | წარმატებულად გაიარეს რიტმული მასაჟის (ვეგმან/ჰაუმკას მიხედვით) სწავლების სრული კურსი მოსკოვში და მოიპოვეს თერაპიულ და სარეაბილიტაციო პრაქტიკაში ამ მეთოდის გამოყენების უფლება აიპ "ადამიანი და ბუნება" თანამშრომლებმა: ნინო ჩიხრაძემ, ალა როგოვამ, ნინო მუშვილდიშვილმა, თამარ კანთელაძემ და მაია ბერუაშვილმა. კურსის ხელმძღვანელი ფრედერიკე ფონ მანენი (ჰოლანდია)   | საქველმოქმედო ფონდი კორდაიდი" (ჰოლანდია)   |
| 2003        | ლალი ზაუტაშვილმა გაიარა საკვალიფიკაციო პრაქტიკა, როგორც ლიმფოლოგმა-მასაჟისტმა და რიტმული მასაჟის სპეციალისტმა გერმანიის შემდეგ კლინიკებში:<br><br>ფოლდის სახ. ლიმფოლოგიური კლინიკა (ფრაიბურგის საუნივერსიტეტო კლინიკასთან კორპორატიულ კავშირში მყოფი);  | ედელგარდ გროსე - ბრაუკმანის მიერ ორგანიზებული და ფინანსურად მხარდაჭერილი მივლინება                 |



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

|             |   |  |
|-------------|---|--|
|             | <p>ემელბრონის შინაგან სნეულებათა საავადმყოფოს ფიზიოთერაპიულ განყოფილებაში; ჰერდეკეს საზოგადოებრივი კლინიკის ფიზიოთერაპიულ განყოფილებაში;</p> <p>ფილდერკლინიკის (ფილდერშტატ-ბონლანდენ) ფიზიოთერაპიულ განყოფილებაში.</p> <p>ამავე წელს მან მონაწილეობა მიიღო მე-4 საერთაშორისო ფიზიოთერაპიულ კონფერენციაში "გული მოძრაობასა და სიმშვიდეს შორის" დორნახში (შვეიცარია) და დორთე კრაუზეს ინსტიტუტში (გერმანია) გამართულ ვორკშოფში - რიტმული შეხელება ვეგმან/ჰაუშკას მიხედვით</p> |  |
| 2001        | <p>ლალი ზაუტაშვილმა მოსკოვში გაიარა გერმანელი სპეციალისტების მიერ მოწოდებული ლიმფოლოგიის სრული კურსი - ლიმფური სისტემის პათოფიზიოლოგია, მანუალური ლიმფოდრენაჟისა და შეშუპების საწინააღმდეგო კომპლექსური ფიზიკალური თერაპიისა და კომპრესიული თერაპიის პრაქტიკული კურსების ჩათვლით, რის შედეგად მიიღო ლიმფოლოგი-მასაჟისტის დიპლომი</p>  | შპს "თერაპიის სახლის" მივლინებით   |
| 1999 - 2000 | <p>პროექტი: "შინ მოვლის სამსახური, ექთანთა საბაზისო და დიპლომის შემდგომი განათლება"; მოხდა პროფესიული სამედიცინო კოლეჯის დაფუძნება</p>  | ევროკავშირის ტასის / ლიენ პროექტი  |
| 1997 - 1998 | <p>მარგარიტა ჰაუშკას სახელობის რიტმული მასაჟისა და არტ-თერაპიის სკოლაში (გერმანია, ზად-ბოლი) ლალი ზაუტაშვილმა გაიარა რიტმული მასაჟის სრული კურსი და მიიღო შესაბამისი დიპლომი.</p>   | ქალბატონ ვილფრიდე ჰასაურის ორგანიზებითა და ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული მივლინება |

თავი VI სწავლის შედეგები – მისაღწევი შედეგები შესაბამისი კომპონენტების მიხედვით

|                                     |  |
|-------------------------------------|--|
| <p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p> | <p><b>იცის:</b><br/>აქვს სფეროსთვის დამახასიათებელი ფაქტობრივ გარემოებებზე დამყარებული ზოგადი კონცეფციების ცოდნა; პროგრამა Ms Excel –ში ცხრილების შედგენა, შევსება და დამუშავება; ანგარიშების, პრეზენტაციების მომზადება და გაფორმება; ინგლისური ენის საწყისი კურსის პროგრამა; ადამიანის ანატომიის, ფიზიოლოგიისა და ბიოლოგიური მეცნიერების საფუძვლები; დაავადების ეტიოლოგია და პათოგენეზი; დაავადებათა სიმპტომების ამოცნობა; ურთიერთობის ფსიქოლოგია; შეუძლია პაციენტის ფსიქოლოგიური მდგომარეობის აღქმა და გაცნობიერება; პირველადი გადაუდებელი დახმარება; სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი; საკუთარი თავის დაცვა; სამედიცინო მასაჟის ამოცანები და მეთოდები, სამედიცინო მასაჟის საშუალებები,</p> |
|-------------------------------------|--|



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

|   |  |
|---|--|
|   | <p>კინეზოთერაპიის საშუალებები და პროცედურები, სამედიცინო კაბინეტის მოწყობა, ჰიგიენური მასაჟის მეთოდიკა</p> <p><b>აგნობიერებს:</b></p> <p>ძირითადი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს; მიღებული თეორიული საბაზო ცოდნისა და მისი ეფექტური გამოყენების მნიშვნელობას პროფესიულ საქმიანობაში; სამედიცინო რეაბილიტაციის მიზნებს და ამოცანებს; ჰიგიენის პრაქტიკულ მნიშვნელობას; პაციენტის ჩართულობას სამედიცინო ღონისძიებებში, რომლებიც მიმართულია პათოლოგიური პროცესების განვითარების პრევენციისთვის;</p>   |
| <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p> | <p><b>შეუძლია:</b></p> <p>სტაბილურ გარემოში გარკვეული დამოუკიდებლობით შეასრულოს წინასწარ განსაზღვრული დავალებები, გამოიყენოს დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომები, ძირითადი მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების გამოყენებით, ექიმის მიერ დასახული ამოცანების შესრულების მიზნით; აწარმოოს დღიური და შეინახოს ინფორმაცია. წაიკითხოს დიაგნოზი ლათინურ ენაზე და გაიგოს პაციენტის კლინიკური მდგომარეობა;</p> <p>მარტივი კომპიუტერული და პროგრამული პრობლემების გადაჭრა; ინგლისურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება; სასწავლო პრაქტიკის განმავლობაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე პროფესიული სტუდენტი შეძლებს რეალურ გარემოში როგორც პაციენტთან, ასევე მის ახლობლებსა და სამედიცინო გუნდის სხვა წევრებთან გამართულ ურთიერთობას ეთიკის ნორმების დაცვით; საკუთარი თავის დაცვა სხეულებრივი და მენტალური პრობლემებისაგან პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს; შეხების განსაკუთრებული უნარების ჩამოყალიბება; ცალკეულ დაავადებათა მიმდინარეობისა და თავისებურებების გათვალისწინება; დეზინფექციის ჩატარება; სანიტარული ნორმების დაცვა; პაციენტის მოვლა ასეპტიკისა და ანტისეპტიკის გათვალისწინებით; შეასრულოს სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი; ტალახის, პარაფინის აპლიკაციის დადება; მასაჟისათვის ტოლერანტობის ნიშნების გამოკვლევა; სამკურნალო მასაჟის მეთოდიკების გამოყენება სხვადასხვა დაავადების რეზილიტაციისას; სხვადასხვა დაავადების სიმპტომო-კომპლექსების ამოცნობა; ნევროლოგიურ დაავადებათა სიმპტომების ამოცნობა; კინეზოთერაპიისა და მანუალური თერაპიის ილეთების გამოყენება სქოლიოზისა და საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დეფორმაციისას; ზოგიერთი ტრადიციული და არატრადიციური (რიტმული, პრესელის) მასაჟის პროცედურის ჩატარება; პაციენტის ასაკობრივი ნორმების გათვალისწინება ურთიერთობისას; კრიტიკულ სიტუაციებში საკუთარი თავის მართვა; პირველადი გადაუდებელი დახმარება სუნთქვის, სისხლის მიმოქცევის და ცნობიერების დარღვევისას; პაციენტის აღმსარებლობის მიუხედავად მისი მოვლა ადამიანური ღირსების შესატყვისად; საკუთარი სამუშაო გეგმის შედგენა და მისი შეთანხმება სამედიცინო გუნდის წევრების სამუშაო გეგმასთან.</p> |



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

|                                 |   |
|---------------------------------|---|
| <b>დასკვნის გაკეთების უნარი</b> | <p><b>აქვს უნარი:</b><br/>         უშუალო ხელმძღვანელობით კრიტიკული სიტუაციიდან გამოსვლის გზების დაგეგმვის და განხორციელების; დროულად ამოიცინოს მოვლისა და რეაბილიტაციის მართვის დამაბრკოლებელ მოვლენებს და დამოუკიდებლად ან სხვის დახმარებით აღმოფხვრავს მათ; ამოიცინოს დაავადების რისკ-ფაქტორები და სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობები; გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები და იმოქმედოს სამედიცინო გუნდთან შეთანხმებულად გართულებების თავიდან ასაცილებლად; სამედიცინო დოკუმენტების წაკითხვის, გააზრების და საკუთარი პოზიციის დაცვის.</p>   |
| <b>კომუნიკაციის უნარი</b>       | <p><b>აქვს უნარი:</b><br/>         პროფესიასიული კომპეტენციის ფარგლებში აუცილებელი და გამოსაყენებელი ინფორმაციის, შინაგანაწესის, ხელშეკრულებისა და სხვა საჭირო ინფორმაციის გამოყენება განსხვავებულ სიტუაციებში; პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ზეპირი კონტაქტის, მოსმენილის გააზრების და საჭიროებისას დაზუსტების; კრიტიკული სიტუაციის შეფასების და ინფორმირების; პაციენტთან და მისი ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის, დაავადებების თავისებურებათა გათვალისწინების სწავლების; საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის ექიმისთვის და გუნდის სხვა წევრებისთვის მიწოდების; უცხოურ ენაზე აუცილებელი და საჭირო ინფორმაციის წაკითხვა და გააზრება, ინგლისურ ენაზე მარტივი კომუნიკაციის; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების; სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანებთან ერთნაირად კეთილგანწყობილი დამოკიდებულების;</p> |
| <b>სწავლის უნარი</b>            | <p><b>აქვს უნარი:</b><br/>         შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლებაზე პასუხისმგებლობის აღება. საჭიროების შემთხვევაში მითითებული ლიტერატურის მოძიების, ინფორმაციის მოპოვების და ცოდნის გაღრმავების; საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინგლისური ენის გამოყენებით ხელმისაწვდომი გახადოს თავისთვის თანამედროვე სასწავლო ლიტერატურა; კერძო სწავლებების საფუძვლების ცოდნა აძლევს პროფესიული წინსვლის შესაძლებლობას; შემდგომი სწავლის შესაძლებლობებისა და სხვისი დახმარებით გადაწყვეტილებების მიღების, რომელიც უზრუნველყოფს მის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.</p>  |
| <b>ღირებულებები</b>             | <p><b>გააჩნია:</b><br/>         პაციენტებთან, მათ უახლოეს მიკროსოციუმთან და კოლეგებთან ურთიერთობისას ეთიკური ნორმების დაცვის უნარი; პროფესიული პრობლემების წამოჭრისას გულისხმიერი დამოკიდებულების უნარი; გარემოს სანიტარული მდგომარეობის შეფასებისა და პრევენციის უნარები; რელიგიური მიკუთვნებულობის მიუხედავად კრიტიკული სიტუაციებისას პაციენტის მიმართ კეთილგანწყობის შენარჩუნების უნარი.</p>   |

**თავი VII პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება**

ისეთი გამონაკლისი შემთხვევების დროს, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის გაუქმებას ან შეცვლას, დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა სწავლის გაგრძელების



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

შესაძლებლობა ალტერნატიული პროგრამის შეთავაზებით (აქამდე მიღებული კრედიტების აღიარებით) ან ხელი შეუწყოს მათ მობილობას. პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში გაფორმებული გვაქვს თანამშრომლობის მემორანდუმები: შპს მე-3 სამედიცინო პროფესიული ცენტრთან, "თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტთან" და შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან" და "ფერიცვალების დედათა მონასტერთან არსებული" მოწყალეების ცენტრის პროფესიული კოლეჯი.

### **თავი VIII პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების წესი**

პროგრამაში გაწერილი თითოეული სასწავლო კურსის დასრულებისას პროფესიული სტუდენტები შეაფასებენ კითხვარს (იხ. დანართი). გარდა ამისა, იგეგმება წელიწადში 2 სუპერვიზიის დღე (ევროპელი ექსპერტის მიერ მოდერირებული). მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად გატარდება შესაბამისი ღონისძიებები. შესაძლოა საჭირო გახდეს პროგრამის მოდიფიცირება.

### **თავი IX პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი**

#### **ჯგუფი:**

- ლალი ზაუტაშვილი - ა(ა)იპ - „ადამიანი და ბუნება“ გამგეობის თავმჯდომარე/დირექტორი ტელ: 599 20 24 95; ელ-ფოსტა: umn@access.sanet.ge;
- ლია ბულაძე - ექიმი-პედიატრი, ტელ: 599 10 95 02; ელ-ფოსტა: umn@access.sanet.ge
- მერი ვაშაკიძე - ექთანი-პედაგოგი, ტელ: 593 63 22 85 ; ელ-ფოსტა: umn@access.sanet.ge
- ლალი ანდრიაშვილი - მედ.დოქტორი/ოჯახის ექიმი ტელ: 599 94 94 87. ელ-ფოსტა: umn@access.sanet.ge